დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109261807**
თარიღი:**29/06/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 ივნისის N108-1082617713 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) განსაზღვროს არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა 20 (ოცი) საშტატო ერთეულის ოდენობით ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საშტატო ერთეულის რიცხოვნობის დაცვით, იგივე ქვეპუნქტით წარმოდგენილ დანართში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს საშტატო ერთეულის პოზიციის დასახელება.

2. განკარგულება ძალაშია 01 ივლისიდან.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობის შეთანხმების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 თებერვლის Ng-109.109260575 განკარგულება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა	
N	**პოზიცია**
1	მერის თანაშემწე
2	სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში
3	სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში
4	მდივანი
5	მძღოლი
6	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მძღოლი
7	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მძღოლი
8	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის მძღოლი
9	სპეციალისტი გრაფიკოს-მემონტაჟე
10	შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში
11	სპეციალისტი პრესასთან, ტელევიზიებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან, სახელმწიფო უწყებებთან, სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობის, მუნიციპალიტეტის ოფიციალური გვერდისა და სოციალური ქსელების პიარის საკითხებში
12	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების სპეციალისტი ქონებისა და ბუღალტრულ პროგრამაში მუშაობის საკითხებში
13	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდული განყოფილების სპეციალისტი სამართლებრივ საკითხებში
14	ადმინისტრაციული სამსახურის იურიდული განყოფილების იურისტი დმანისის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების კონსულტაციის საკითხებში
15	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციალისტი ტურიზმის საკითხებში
16	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი შემოსული კორესპონდენციის, მონაცემების დამუშავებისა და სამსახურის მიერ მოსამზადებელი ანგარიშების პროექტების მომზადების საკითხებში
17	მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი საარქივო მასალების დამუშავებისა და კანცელარიის საქმისწარმოების საკითხებში
18	მუნიციპალური ინსპექციის ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი დასუფთავებისა და შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციის საკითხებში
19	მუნიციპალური ინსპექციის ადმინისტრაციული და საჯარო ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტი
20	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სპეციალისტი